3-ს მარტს. № 7. 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1886.

«მწყემსი» დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც და ათ რიცხვებში

დღესასწაულების გამო «მწყემსის» მე № 7-მა რუსული დამატებით სამი დღით დაიგვიანა.

ძნელი დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად.

სტატია მეორე.

აგერ თხუთმეტი საუკუნე იქნება, რაც ქართველები მართლ-მადიდებელ ქრისტიანობას აღიარებენ და ვინ არ იცის, თუ რამდენი სისხლია მათგან დაღვრილი ამ სარწმუნოებისათვის, რამდენი მსხვერპლია შეწირული, რამდენი ძნელი და გამოუთქმელი წვალება და ტანჯვა მიუღიათ მათ ამ დროის განმავლობაში თავიანთ მეზობელ უწყალო მტრებისაგან, რომელთათვის ქრისტიანების ამოჟლეტა და ყოველივე ქრისტიანულის აღმოფხვრა ნიშნავდა მათი მოვალეობის მტკიცეთ აღსრულებას და მასთან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რამდენათაც ბევრს სისხლს დაღვრიდენ ქრისტიანებისას, იმდენად მეტ ჯილდოს მიიღებდნენ იმ სოფელში. ამასთანავე ქართველები იბრძოდენ თავიანთ საყვარელი სამშობლოსათვისაც, მაგრამ სამშობლოს და სარწმუნოების შორის სამზღვარი არ იდო: ქრისტეს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული ისე მტკიცეთ იყო შეკავშირებული ყოველი ქართველის გულში, რომ მათი დაცილება არ შეიძლებოდა. ქართველის ფიქრით ის ქრისტიანობასთან ჰკარგავდა თავის არსებობასაც. თანასწორად ამისა იმისი სამშობლოს სხვის ხელში ჩაგდება ნიშნავდა მის სიკვდილს და ამიტომ ის ასე უშიშრად ხვდებოდა თავის სამშობლოს და თავის მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მტერს. ხშირად ამისთანა გამბედაობა ძვირათ უჯდებოდათ ქართველებს, მაგრამ ისინი ანთხევდენ თავიანთ სისხლს როგორც სამშობლოს ნამდვილნი შვილნი და ჭეშმარიტი ქრისტიანენი. მაშინდელი ქართველის სარწმუნოება იყო სამაგალითო, სარწმუნოება სამ პიროვანი ღვთისა მტკიცეთ იყო გამჯდარი მის სულში. ეს ცხოველი სარწმუნოება ამოქმედებდა ქართველს. ყოველს თავის მოქმედებაში მას წინ უძღოდა მისი სარწმუნოება და აქედამ ცხადია, რომ მისი ზნეობა იყო მაღალი. ძველი ქართველის სულს სძაგდა ყოველივე ბოროტება და ცუდი მიდრეკილებანი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: სადაც არსებობს ნამდვილი ჭეშმარიტი სარწმუნოება ღვთისა და ქრისტე მაცხოვრისა, იქ კაცი გრძნობს მისწრაფებას ცისადმი და საუკუნო ცხოვრებისადმი და მეცადინეობს მოიქცეს ისე, რომ შემდეგ ამ ქვეყნიური მოკლე ცხოვრებისა ღირსი გახდეს ღვთის სასუფეველისა, მაშინ ყოველ კაცის მოქმედებას აძევს ღვთიური ბეჭედი წესიერებისა. ამისთანა ხალხში ურთიერთ შორის დამოკიდებულება, მოქმედება და აზრი ნამდვილი ქრისტიანულია და კეთილშობლიური. ჩვენი წინაპარნი ყოველ თავის მოქმედებას ათანხმებდენ სარწმუნოების მტკიცე სჯულს, რომელიც კაცისთვის უფრო სასარგებლო და უტყუარი ზომაა. მათის აზრით ყოველივე პატიოსანი იყო აგრეთვე სასარგებლოც. კიდეც რომ სასარგებლო ყოფილიყო რამე, თუ კი ის ცოტათი მაინც წინააღმდეგი იყო პატიოსნებისა და უანგარობისა, მათ ის სასარგებლოდ არ მიაჩნდათ. ძველი ქართველები

დიდს პატივსა სცემდნენ ყოველივე ღვთიურს, ღირსეულს პატივსა და თაყვანსა სცემდნენ იმას, რაც დანიშნული იყო პატივისა და თაყვანის საცემლად. ამავე დროს მათ ეზარებოდათ ყოველივე ღვთის მცნების წინააღმდეგი მოქმედება. ქაცში ისინი ხედავდნენ ღვთის მზგავსებას და ხატებას და ამიტომ კაცის პიროვნებას დიდს პატივსა სცემდენ. აი როგორნი იყვნენ ჩვენი წინაპარნი, აი ვისი შვილები ვართ ჩვენ. მაგრამ, საუბედურიოდ, ჩვენ როგორიღა ვართ? დღეს ჩვენში არ მოიპოვებიან არცეთი ის კარგი თვისებანი, რომლებიც ჩვენს წინაპრებში იყო. დღეს ჩვენში მტკიცე ფესვი აქვს გადგმული ყოველივე ბიწიერებას და უკანონო მისწრაფებას, რომ ებიც ჩვენს წინაპართ სძულდათ და ეზიზღებოდათ. მართალია, ამ ჩვენს დროშიაც ეხედავთ ზოგიერთ სანუგეშო მაგალითებს, მაგრამ ჩვენ წინაპრებთან შედარებით, ეს სანუგეშო მაგალითები დიდათ შესამჩნევი არ არიან. ჩვენი წინაპრების დროს ყოველივე კეთილისადმი მისწრაფება საზოგადო კანონი იყო. ისინი ერიდებოდნენ ყოველივე ცუდს და ღვთის წინაალმდეგს, ხოლო ჩვენ დროს ბოროტებისადმი მისწრაფება შეადგენს საზოგადო კანონს, და ღვთისადმი მისწრაფება კი ძვირი მოვლენა არის.

როგორ დავკარგეთ ჩვენ ის ღრმა, ნამდვილი და ცხოველი სარწმუნოება, რომელიც გადმოგვცეს ჩვენ ჩვენმა წინაპარებმა როგორც უძვირფასესი საუნჯე, რომელიც დაიცვეს მათ დიდის შრომით და სისხლის დაღვრით? დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ძვირფასი საუნჯე ჩვენ დავკარგეთ. ჩვენი წინაპრების მტკიცე და ცხოველი სარწმუნოებისაგან ზოგიერთებში დღეს კიდევ დარჩენილა მცირე ჩრდილი; მაგრამ, საუბედურიოდ, ეს მცირე ჩრდილიც ყველაში ერთ ნაირად არ მოიპოვება. ბევრნი არიან, რომლებშიაც სარწმუნოების ხსენებაც არ არის. ქაცში თუ კი არსებობს ნამდვილი ცხოველი სარწმუნოება ღვთისა, მაშინ მასში, კაცში, ზოგიერთი მოთხოვნილებაებიც არიან, რომელნიც ისე ითხოვენ დაკმაყოფილებას, როგორც ჩვენი სხეულის მოთხოვნილებანი. თუ კაცში არსებობს ნამდვილი სარწმუნოება, მაშინ მისთვის საჭიროა ლოცვა, ეკკლესიაში სიარული ღვთის მსახურების მოსასმენად, წმიდა ადგილების თაყვანის ცემა; აგრეთვე თაყვანის ცემა წმიდანების ნაწილებისა და კეთილი საქმეების გამრავლება და სხვ. ყოველივე ეს ისე ასაზრდოებს და აძლიერებს კაცში სარწმუნოებას, როგორც კარგი სასმელ-საჭმელი ასაზრდოებს კაცის სხეულს. რამდენათაც კაცში ძლიერია ლოცვისა და კეთილი საქმეებისადმი მისწრაფება, იმდენად ძლიერია მასში სარწმუნოება. მაგრამ ეს მოთხოვნილება და მისწრაფება დღეს ძლიერ დახშულია ჩვენში. უბრალო ხალხშიც, რომელშიაც ლოცვისადმი მისწრაფება ძლიერი და უფრო მტკიცე უნდა იყოს, აღარ ლოცვილობს, არა გრძნობს ამის მოთხოვნილებას. ის არა თუ დაწოლის და ადგომის დროს არ ლოცვილობს, არამედ უგულოდ და ხან სრულებითაც არ დაიარება სალოცავად ეკკლესიაში. ამ სამწუხარო მოვლენამ ამ უკანასკნელ დროს ისე საგრძნობელად იჩინა თავი, რომ მთავრობა იძულებულია გამოსცეს სხვა-და-სხვა განკარგულებანი და იხმაროს პოლიციის ძალა, რომ ხალხმა იაროს ეკკლესიაში დღესასწაულ და კვირა დღეებში მაინც, როდესაც ეს ხალხი ცუდ უბრალოდ ატარებს დროს. ამაზე შეიძლება ვინმემ გვიპასუხოს, რომ ლოცვა არამც თუ საჭირო არ არის და არ ამტკიცებს კაცის სარწმუნოებას, არამედ ის, ლოცვა, სრულიად მეტია. ლოცვა არა თუ სასიამოვნო არ არის ღვთისათვის, არამედ ლოცვა შეურაცხებს ღვთის ყოვლად მეცნიერებას, მის განუსაძღვრელ მოწყალებას. ღმერთმა, ბრძანებენ ამ გვარი პირები, უწყის ჩვენი საჭიროებანი და მაშასადამე რაღა საჭიროა ჩვენი თხოვნა. ღმერთი ყოვლად მოწყალეა და ამიტომ არ არის საჭირო ვთხოვოთ მას მოწყალება. ამისთანა პირების გასამტყუნებლად საკმაოა შევნიშნოთ, რომ ლოცვას ითხოვს ჩვენგან ერთის მხრით თვით ღმერთი, ხოლო მეორეს მხრით თვით ჩვენი ბუნება. ჩვენი სარწმუნოება გვამცნებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვსცხონდეთ, თუ არ მივიღებთ ღვთის მადლს; ხოლო ღვთის მადლის მიღება შეგვიძლია მხოლოდ ლოცვის საშუალებით. **ილოცვიდეთ**, ამბობს მოციქული იაკობი, **ხოლო ილოცვიდეთ სარწმუნოებით ჭ ნუ ორგულობით.** აგრეთვე ნათქვამია საღმრთო წერილში: **რამეთუ თვინიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი** (იოან. 15, 5). **მარადის ილოცვიდეთ.** (ლუკ. 18, 1). **ამინ, ამინ გეტყვით თქვენ, რამეთუ რაოდენიც რა სთხოვოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქვენ, აქამამდე არა რა გითხოვიეს სახელითა ჩემითა; ითხოვდით ჭ მიიღოთ** (იოან. 16, 23-24). ბანა ამ სიტყვებისაგან არა სჩანს, რომ ღვთის შემწეობის მისაღებად, თვით ღმერთი გვიბრძანებს, რომ მივიქცეთ მისდამი ლოცვით? ლოცვის საჭიროება ისე ცხადია, რომ საღმრთო წერილშიაც რომ არ იყოს ეს ნაჩვენები, ამის მისახვედრად საკმაო

იყო ჩვენი გონებაც. ლოცვით ვუახლოვდებით ჩვენ ღმერთს, ლოცვით ვტყობილობთ მის დიდებას და ჩვენ მასთან დამოკიდებულებას. ჩვენ უნდა ვილოცვიდეთ ჩვენი ბუნების მოთხოვნილებისა გამოც. ბანა კაცისათვის ბედნიერება არ არის მის საყვარელ მეგობართან მუსაიფი? ბანა სასიამოვნო არ არის სულისათვის, რომ მან მადლობა შესწიროს თავის კეთილ მყოფელს? ლოცვაც მუსაიფია სულისა ღმერთთან. აქედამ ცხადია, რომ ჩვენ უნდა ვილოცოთ, თუ გვინდა ჭეშმარიტი ქრისტიანე ვიყოთ. ჩვენ უსაყვედურეთ ჩვენს უბრალო გაუნათლებელ ხალხს, რომ ის აღარ ლოცვილობს, მაგრამ რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ იმ პირებზე, რომელთაც განათლება მიუღიათ და განმორებით წინა დგანან გაუნათლებელ ხალხზე? ამათში უფრო სამწუხარო ფაკტებსა ვხედავთ: ესენი სრულებითაც არ ლოცვილობენ და არ დაიარებიან ეკკლესიაში ღვთის მსახურების მოსასმენად. ზოგიერთები პატარაობიდგან გადასჩეევიან ლოცვას, პირზე-ჯვრის გამოხატვაც აღარ შეუძლიათ და ეკკლესიის გზა ხომ სრულებით დავიწყებიათ. დიაღ, ამათ დავიწყებიათ ლოცვა და არ იციან, თუ რა უნდა სთხოვონ ღმერთს. მაგრამ ამასთან მათ არ დავიწყებიათ ჭამა, ჩაცმა და დახურვა! რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი გახლავსთ ურწმუნოება, რომლითაც მათი სული გარემოცულია. ამ ურწმუნოებას აღმოუფხვრია მათი სულიდგან ყოველი კეთილი გრძნობა, მაგრამ ამავე დროს სხეულის ყოველივე მოთხოვნილებანი კმაყოფილებას იღებენ და ფუფუნებაში არიან. როდესაც ამისთანა პირები ავათ არიან, განა საჭიროებენ ისინი სწავლებას, რომ სთხოვონ ვისმეს მორჩენა? როცა მათ შიათ, განა საჭიროა სწავლება, რომ საჭმელი ითხოვონ? სრულებითაც არა. აგრეთვე მათ ეცოდინებოდათ ლოცვა, რომ მათში მთლათ არ გაქრობილიყო სარწმუნოება, რომელიც იწოდებს კაცს, რომ ლოცვის საშუალებით გააღვიძოს თავის თავში წმიდა აზრები და კეთილ-შობლიური სურვილნი, გაასწოროს თავის გულის ცუდი ვნებანი და ერიდოს ცოდვებს. თუმცა ზოგიერთი ამ პირებთაგანი ზოგჯერ შევლენ ხოლმე ეკკლესიაში, მაგრამ ისიც უსაქმობისა გამო და ანუ სულ სხვა მიზნით. ყველაზედ უფრო ის არის გასაკვირველი, რომ ქალებშიაც დახშულია ლოცვის მოთხოვნილება, რომელიც დიდი საღვათია განსაკუთრებით სუსტ არსებათათვის, როგორნიც არიან ქალები. ეს მოვლენა მით უმეტეს სამწუხაროა, რომ ახალი თაობა, რომელიც იზრდება ამისთანა დედებისაგან, რომელთან ერთად იღებენ დედებისაგან ურწმუნოებას. ამისთანა დედები სრულებით არ მეცადინობენ, რომ თავიანთი ცხოველი მაგალითებით ჩანერგონ თავიანთ შვილების სულში ნამდვილი საფუძველი სარწმუნებრივი გრძნობისა: ისინი ადგებიან დილას თუ არა, მის მაგიერ რომ თავის შვილებით დადგენ ხატის წინ და ილოცონ, გარბიან პირ-და-პირ სარკესთან და ჩაცმა გამოპრანჭვას შეუდგებიან. სამწუხაროდ ოთახში ხატიც არ უკიდიათ. ზოგჯერ განათლებულ პირთა ოჯახებში ხატების მაგიერ თქვენ ხედავთ ტიტველ ქალების სურათებს.

თბილისიდამ.

ქ. თბილისის ღარიბ მცხოვრებთ მომეტებული ნაწილი ქართველი მუშა ხალხია, რომელიც დღიურ ლუკმას ძლივს ძლივობით შოვობს. ეს ხალხი ნივთიერად ისეა შევიწროებული, რომ თავის შვილების გამოზრდა არ შეუძლია. ამიტომაც თბილისის სასწავლებლებში ძვირათ ნახავთ ამ ღარიბი ქართველების შვილებს. ვინ იღებს ამ სკოლებში განათლებას? თბილისის ყველა საშუალ და დაბალ სასწავლებლებში თბილისის გარეშე მცხოვრებლების შვილები სწავლობენ. სასულიერო სემინარია და სულ ქალაქის გარეშე მცხოვრებლების შვილებით არის სავსე, ალექსანდროვის ინსტიტუტში ხუთი მოწაფე თუ იქნება ქალაქელი, თორემ სულ გარეშე სოფლების მცხოვრებთ შვილებით არის სავსე. გიმნაზიებზედაც ესევე შეიძლება ვსთქვათ. ერთის სიტყვით ამ სასწავლებლებში თბილისის ღარიბ მუშა ხალხის შვილებს ასში თუ ერთს შეხვდებით, ისიც კარგია. ამ მხრით სომხები უფრო წინ არიან ჩვენზე. მათ წინეთაც და დღესაც აქვსთ ბლომად საეკკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც ღარიბი სომხის შვილები სწავლობენ წერა-კითხვას. მართალია, ამ სკოლებში დიდ სწავლას ვერ იღებენ მოსწავლენი, მაგრამ ცოტა წერა-კითხვას მაინც სწავლობენ და ესეც კარგია. ამ სკოლებში უფრო კარგად წავიდოდა საქმე, რომ ქართულს ენაზე სწარმოებდეს სწავლება. უმეტესად სომხების გლეხ-კაცობას თავის ენად ქართული ენა აქვს მიღებული და საზოგადოდ თბი-

ლისში ბევრი არ მოიძებნება ისეთი ოჯახები, სადაც დიდიდამ პატარამდის სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ.

მაგრამ სომხის «პატრიოტები» ამას ყურადღებას არ აქცევენ და სკოლებში აღკრძალული აქვსთ ქართული ენა, წერა-კითხვა და გარდა ამისა ქართულად ლაპარაკსაც უშლიან მოწაფეებს სკოლაში. ამით ისინი დიდ დაბრკოლებას აძლევენ სწავლის საქმეს.

თბილისის ქართველ გლეხ-კაცობას სამაგალითოთ მიაჩნია სომხების სამღვდელოების მოქმედება და ამბობს, რომ სომხის სამღვდელოება უფრო იღწვის თავის მრევლზე, ვინემ ჩვენი მღვდლებიო. სომხის მღვდლები მუქთად ასწავლიან ყმაწვილებს, წიგნებს მუქთად ურიგებენ მოსწავლეთ და გარდა ამისა ერთი ისეთი საზოგადოებაც არსებობს მათში, რომლის საშუალებით ღარიბი კაცის გასათხოვარ ქალებს მზითევსაც აძლევენო. ასე სჯიან ქ. თბილისის ღარიბი ქართველები, და მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი არც კი სტყუიან თავიანთ შეხედულობაში. ამ სომხების სამღვდელოების წყალობით თბილისის ღარიბ მცხოვრებლების შვილებს დიდი შემწეობა ეძლევათ; საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ღარიბი სომხების შვილები სწავლობენ წერა-კითხვას და ანგარიშს და ამ მცირე სწავლის საშუალებითაც ლუკმა პურს შოვობენ და უბრალოდ არ დაწანწალობენ ქუჩა-ქუჩა. ჩვენ სამღვდელოებასაც რომ ამ გვარი სკოლები ქონდეს გახსნილი ქალაქის ეკლესიებთან, მაშინ ამისთანა სკოლებში ბევრ იმისთანა მშობლების შვილები მიიღებდენ სწავლას, რომლებთაც შეძლება არა აქვსთ, რომ სხვა სასწავლებლებში შეიყვანონ შვილები და სწავლისთვის ფულები იხადონ. ამ სკოლების უმქონელობისა გამო უმეტესი ღარიბი ქართველების შვილები უსწავლელნი რჩებიან და ამის გამო იძულებულნი არიან პატარაობიდგან მიეჩვიონ ქუჩა-ქუჩა თრევას და ჭურდობას.

თბილისის მართლ-მადიდებელ ეკლესიებს იმდენი საშუალება მოენახებათ, რომ თითოეულ ეკლესიასთან თუ არა, ზოგიერთან მაინც იქმნეს დაარსებული საეკლესიო-სამრევლო სკოლა. რაც შეეხება სწავლას ამ სკოლებში, ამას კარგათ შეასრულებს ჩვენი ქალაქის სამღვდელოება, რადგან უმეტესი მათგანი სემინარიაში სწავლა მიღებული არიან.

როცა საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდება გამოიცა და მართლ-მადიდებელი სამღვდელოება მიწოდებულ იქმნა, რათა მასაც მონაწილეობა მიეღო სწავლა-განათლების საქმეში, აქაურ ღარიბ ხალხს დიდი იმედი მიეცა, მაგრამ მათი იმედი გამტყუნდა. მთელ თბილისში მარტო ორ ადგილს იხსნებიან საეკლესიო-სამრევლო სკოლები: ერთი სკოლა გაიხსნა ავლაბარში მღვდლის სოლომონ შოშიევის მეცადინეობით და მეორეც ძუკიაში. ორი ამ გვარი სკოლა გაიხსნება რუსებისათვის. ორი სამრევლო სკოლა საკმაო არ არის თბილისის ღარიბ ქართველებისათვის. საჭიროა, რომ ვერის ორ ეკლესიას ჰქონდეს ერთი სამრევლო სკოლა, რადგანა ვერაზედ უმეტეს ნაწილად სცხოვრებენ სხვადა-სხვა სოფლებიდამ გადმოსახლებულნი გლეხები. აგრეთვე საჭიროა, რომ ერთი საეკლესიო სამრევლო სკოლა გაიხსნას მთაწმიდაში და ზარეთ-უბანში. აგრეთვე შეიძლება რომ ძაშვეთის, სამების და ძალოუბნის ეკლესიებთან იქმნენ გახსნილნი სამრევლო სკოლები, მით უმეტეს, რომ სამების და ძალოუბნის ეკლესიებს არა თუ ერთი უბრალო საეკლესიო სკოლის შენახვა შეუძლიათ, არამედ ერთი კაი ორი ან სამ კლასიანი სკოლისაც, რადგან ძაშვეთის ეკლესიას დიდი შემოსავალი აქვს საეკლესიო სახლებიდგან, დუქნებიდგან და სხვა წყაროებიდამ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე, ექსარხოსი საქართველოისა, თავის მწყემსთ-მთავრულს ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და მოვალედ გახდის ქალაქის სამღვდელოებას, რომ მან ყოველ ეკლესიასთან საეკლესიო-სამრევლო სკოლები გახსნას და ასწავლოს შეუძლებელ მშობელთა შვილებს.

სენაკის ძაზრიდამ.

ბლაღოჩინი მღვ. ზ. ბერიძე გვთხოვს დაბეჭდოთ გაზეთ «მწყემსში» შემდეგი მისი წერილი:

«1870 წელში მე მაკურთხეს მღვდლად და განმაწესეს სოფლის ალავერტის წმიდის ზიორგის ეკლესიის მღვდლად. ჩემდამო რწმუნებულ სამრევლოში ბევრი ცრუ მორწმუნეობანი არსებობდნენ, მაგრამ ღვთის მოწყალებით ზოგიერთი მათგანი უკვე მოვასპობიე ხალხს. ჩემდამო რწმუნებულ ეკლე-

სიაში იყო ერთი ჯვარის სახეთ გაკეთებული ჯაჭვი, რომელსაც თავზე ჯვარი ჰქონდა გაკეთებული. ჩემს მისვლამდე ამ ეკკლესიას ჰყავდა მიჩემებული რამდენიმე კაცი, რომელთაც მეხატურებს ეძახდნენ და რომელთ ხელში იყო ყოველივე ეკკლესიის შემოსავალი. ზემოთ მოხსენებული ჯაჭვი, ხალხის აზრით ვითომც წმიდა ბიორგის ნაქონი იყო. როცა ვინმე შესაწირავ ფულებს მოუტანდა ხატის კაცებს შესაწირავად, ესენი აიღებდნენ შესაწირავს ფულს ხელში, შემოავლებდნენ შემომწირველს თავზე, მერე ჯაჭვის თავზე რომ ჯვარი იყო, იმაზე მოაკიდებინებდნენ მლოცველებს კბილს და შემდეგ ამ ჯაჭვში გააძერენდენ მათ ლოცვით. დიდი სიცილი და ხუმრობა ასტყდებოდა ხოლმე მაყურებლებში, როცა ჯაჭვში ქალი ან კაცი ძვრებოდა. ჩემი მისვლისათანავე ეს ჯაჭვი შევინახე ეკკლესიაში და არავისთვის არ მიჩვენებია. მე მეგონა, რომ ამ ჯაჭვის ხმარება კიდეც დაავიწყდა ხალხს. ეხლა გავიგე, რომ ამ სამრეველოს ერთ გლეხს უყიდნია ერთი თითბრის ჯაჭვი, გაუკეთებია ის ჯვარის სახეთ, ე. ი. იმ რიგათ, როგორც ის ძველი ჯაჭვი. წაუღია ეს ჯაჭვი და წასულა სოფლებში. დაუწყია ძველებური ლოცვები და მასთან ხალხს უმცხადებდა თურმე, რომ მე გამოგზავნილი ვარო ალავერტის ეკკლესიის მღვდლისაგან, რათა შევკრიბო ეკკლესიის ასაშენებლად ფულები. ამ სახით ამ კაცს და მის მხლებლებს კაი ძალი ფული შეუგროვებიათ და მოუხმარიათ თავის სასარგებლოდ. ეს ამბავი შევიტყე მე. მოუწოდე იმ გლეხს, მაგრამ მან უარი სთქვა. ბოლოს ამ გლეხის სახლში ზოგიერთი სოფლის მოსამართლე და სხვა პირების თანადასწრებით მიწაში ვნახეთ ეს ჯაჭვი ჩაფლული. ეს ჯაჭვი მაშინვე იმერეთის ეპისკოპოზს ბაბრიელს წარუდგინე და ვსთხოვე განკარგულების მოხდენა ამის შესახებ. ბოლოდ სამღვდელომ მიბრძანა, რომ ამ გლეხის შესახებ სამსჯულოში დამეწყო საჩივარი. საჩივარი დავიწყე, მაგრამ როდის ან რით გათავდება საქმე, არ ვიცი.

ეხლა შეიძლება ამავე გლეხმა, ან მისი წაბაძვით სხვებმა იშოვნონ ამისთანა ჯაჭვები, იწყონ სოფლებში სიარული და ხალხი მოატყუონ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, რომ, თუ ამისთანა პირი გამოჩნდეს სადმე, აცნობოს მთავრობას, ან მე მაცნობოს, რომ საჭირო ზომები მივიღო. ამასთან დავსძენ, რომ ჩემგან გაგზავნილია დღეს სოფლებში ერთი პირი, რომელსაც მიცემული აქვს ექვსი თვის ვადით დაზორნილი და ხელ-მოწერილი წიგნი თვითყოველად სამღვდელო ბაბრიელისაგან ჩასაწერელად იმა კეთილ მნებელობით შეწირულებათა, რომელნიც დანიშნულია ზემოდ მოხსენებული ეკკლესიის აღშენებისათვის».

ადრიანოპოლიდამ (რუმელიაშია).

წელს აქეთ კაი ზამთარი იყო, მაგრამ ოც დეკემბრიდამ ისეთი თოვლი მოვიდა, როგორიც აქაურებს ჯერ არ უნახავთ. თოვლმა მალე იწყო დნობა. ამის გამო მდინარეები ისე ადიდდენ, რომ გადმოვიდენ ნაპირებიდგან და დაბლობი ადგილები და სოფლები მთლად წალეკეს. ამ წყალდიდობამ გააფუჭა ნათესი მინდვრები და ბევრი კაციც იმსხვერპლა. განსაკუთრებით იანვრის პირველს ისე ადიდდენ მდინარები, რომ ბევრი სახლები აივსო წყლითა და ბევრი მძინარე კაცი და ქალი დააღრჩო. ამ წყალდიდობამ დიდი ზიანი მისცა ერთს უბანს, რომელსაც ქირაბხანს ეძახიან. ეს უბანი დაბლობ ადგილზეა და მდებარეობს მდინარის ნაპირზე. ამ უბანში წყალდიდობამ ბევრი სახლები დაანგრია. ქუჩებში ნავებით დადიოდნენ კაცები და შველოდნენ გაჭირვებულებს. ამ უბანში ერთი ეკკლესია შუამდის მთლად აივსო წყლითა. თოვლის შემდეგ მოჰყვა გაუწყვეტელი წვიმები და დღესაც ზემოთ ხსენებული უბანი სავსეა წყლითა.

ამ ზამთარს აქ იდგა ოსმალოს ჯარი. უნდა ვსთქვა, რომ ეს ჯარი ნახევრობით შიშველ-ტიტველია. მთელს ჯარის კაცებს ქალამნები აცვიათ და საწყლებს წინდებიც არა აქვსთ, რომ ჩაიცვან, მარტო ქალამანი აცვიათ ტიტველ ფეხებზე. რადგან ჯარის კაცები ნახევრობით შიშველ-ტიტველები არიან, ბევრი მათგანი ხდება ავათ გაციებით და სულს აბარებს ალლახს. ჯარის კაცებისაგან აქაურებს დიდი შეწუხება ადგიათ. რადგან ჯარის კაცებს სურსათი აკლიათ და ნახევრობით მშიერები არიან, ამიტომ ძალიან აწუხებენ სოფლელებს, რომელთაც პარავენ და სტაცებენ, რაც კი მოხვდებათ მათ ხელში. თავიანთი სადგურები აქაურმა სოფლელებმა თითქმის ჯარის კაცებს დაუთმეს და თვითონ კი ბოსლებში და საბძლებში დგანან. პირველად ეს ჯარის კაცები

კარგად ეპყრობოდენ სოფლელებს, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან გამოიცვალეს თავიანთი დამოკიდებულება. ყოველ ქრისტიანს გიაურს ეძახიან და სადაც წაეწევიან მათ, არა ზოგვენ.

ამ დღეებში ადრიანოპოლიდამ ბირითისკენ გაიგზავნა 16 თაბური კაც (თაბურში ათასი კაცია), რადგან ამ ადგილებში მცხოვრებთ ემჩნევათ აღელვება ოსმალოს წინააღმდეგ.

ბოლგარიის საქმე, როგორც გავიგე ჯარის ერთი უმფროსისაგან, ბოლოვდება ამ გვარათ: რუმელია, როგორც წინეთ იყო, ისე დარჩება. ყირჯილის მაზრა, რომელშიაც 25-დე თათრის სოფლებია, თათარს დაეთმობა, და დღეის იქით თათრის ჯარი ჩადგება ფილიპოპოლში. ბოლგარიის კნიაზი იქნება ბოლგარიის კნიაზიც და რუმელიის გუბერნატორიც. მაგრამ რუმელებს კიდევ იმედი აქვსთ, რომ ბოლგარიას შეუერთდებიან და მიეცემათ მათ თვითმართველობა, ამიტომ ყოველივე ქაღალდს აწერენ: «სამხრეთ ბოლგარია». დღემდის რუმელები სამზღვრებს ყარაულობდნენ და დღეს კი თავი დაანებეს ყარაულობას. რკინის გზებიც გაიხსნენ და წამსვლელ წამომსვლელებს ადვილად აძლევენ ნებას. რუმელიიდგან წამოსულ მგზავრებს თათრის ჟანდარმები, რომელნიც რკინის გზის ყოველ სტანციებში არიან, უშინჯავენ ბაშპორტებს. ბაშპორტებისათვის ბევრს აპრკოლებენ, რადგან რუმელებმა გააუქმეს წინანდელი ბაშპორტის ფორმა, რომელიც სულთანისაგან ჰქონდათ მათ მიცემული. ეხლა მათ ბაშპორტებს ასე აწერია: «სამხრეთ სათავადო ბოლგარიისა». წერილების მიმღებს ფოსტაში ორჯელ მეტ ფასს ახდევინებენ თათრის ჯანდარმები.

დიდი უწესოება არსებობს რუმელიაში და ბოლგარიაში დღეს. ერთი სიტყვით მათ მმართველი არა ჰყავთ და ვინც ძლიერია, ის არის მმართველიც და მსაჯულიც. განსაკუთრებით სოფლებში არის დიდი უწესოება. დიდი უწესოება ხდება განსაკუთრებით სამიკიტნოებში, სადაც ხალხი იკრიბება და სჯის სხვა-და-სხვა საქმეებზე თავისებურად და ხშირად ამ ბაას ჩხუბიც მოჰყვება ხოლმე. ბოლგარებს მეტად სძულთ სხვა გვარის კაცი და ძალიან დაჩაგრული ჰყავთ ისინი. აქაურ მცხოვრებ თათრებს და ბერძნებს მათ ძალათი წაართვეს ტყეები და საძოვარი მინდვრები. სხვა გვარის კაცს არ შეუძლია თავამაღ დაელაპარაკოს უკანასკნელ ბოლგარელს, თუ არა ასე: «ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ». დაჩაგრულები სამართალს ვერ ჰპოებენ ვერც სოფლის სასამართლოებში.

იანვრის თვის 23 ერთ რუმელიელ ბერძენს ბამბის თესლი მიჰქონდა ადრიანოპოლში გასასყიდლად. თათრის ჯანდარმისაგან აიღო მან ნება, ბაშპორტშიაც გადიხადა 8 ლირა. როდესაც დატვირთა ურემი და გასწია ადრიანოპოლისაკენ, სამზღვარზე დახვდნენ მას რუმელიის სოფლელები და წაართვეს ბერძენს მთლად ბამბის თესლი და ერთმანეთ შორის გაინაწილეს და საწყალ ბერძენს შტრაფიც დაადვეს 12 ყურუში ბამბის თესლის თითოეულ ოყაზედ. საწყალმა ბერძენმა ბევრი უძახათ: «ჩემო მოწყალეო ხელმწიფენო», მაგრამ ვერა გააწყო რა მათთან. არეულობის წინ ბევრი თათრის ქვეშევრდომნი ბოლგარები მოიპოვებოდნენ როგორც რუმელიაში, აგრეთვე ბოლგარიაში. სერბიასთან ჩხუბის დრო ესენი ძალით წაიყვანეს ჩხუბში, მაგრამ მრავალი მათგანნი გამოეპარათ ჩხუბიდგან. ამ გამოპარულებში ორი კაცი ჩემთან მოვიდა და მიამბეს, რომ სერბიელებთან შეტაკების დროს ბევრი კაცი დაიხოცაო ორივეს მხრით. ამავე პირებმა მიამბეს, რომ ჩხუბში ბოლგარების წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდნენ სერბიელი ზოგიერთი ქალები, რომელნიც, ამ კაცების სიტყვით, ცულებით და კეტებით ჩხუბობდნენო.

ზემოთ მოყვანილ უბედურებათ თან დაერთო სხვა უბედურებაც. ანდრიანოპოლის მახლობელ სოფლებში გაჩნდა ერთ ნაირი სენი, ხველება, რომელიც უფრო ბავშებს ჰკიდებს ხელს. ვისაც შეხვდება, გადარჩენის იმედი აღარ არის. ერთი თთვე მეტია, რაც ეს სენი მძვინვარებს სოფლებში და მრავალი ყმაწვილი გამოასალმა ამ სოფელს. საუბედუროთ მშობლებიც ხომ ექიმებთან არ მიდიან: ისინი თათრის მკითხავებს მიაშურებენ გაჭირვების დროს. ეს მკითხავებიც რაღაცას სწერენ ქაღალდზედ და ჰკიდებენ ავათმყოფ ყმაწვილებს ყელზე. ამ დაწერილი ქაღალდის იმედი დიდი აქვს უბრალო ხალხს, მაგრამ ეს ქაღალდი მის ავათ-მყოფებს ვერას შველის.

აქაურს ხალხში ძალიან გავრცელებულია სხვა-და-სხვა ამაოდ მორწმუნეობანი და ჩვეულებანი. სხვა-და-სხვა ჩვეულებათაგან შესანიშნავია ერთი ჩვეულება ბერძენ-ბოლგართა. წირვაზე სამსხვერპლო პურისაგან დანარჩენ ნაწილებს დაანაწილებენ და წირვის დროს, შემდეგ «მამაო ჩვენო»-ს წაკითხვისა, მღვდელი აკურთხებს ამ ნაწილებს და იტყვის: «რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი დ დიდება და სხვ. და

შემდეგ განტევებისა ხალხი მიიღებს ამ ნაკურთხს პურს მღვდლისაგან. ამ ნაწილებს ისეთი მოწიწებით იღებენ, როგორც წმიდა ზიარებას. მე ძალიან გამაკვირვა ამ წესმა, მით უმეტეს, რომ ამ გვარი არა მოიძებნება რა მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ტიბიკონში. მე გამოვკითხე ერთ ბოლგარელ ბერს ამის შესახებ და მან აი რა მიამბო: «ეს სამხვერპლო პურის ნაწილები, რომლებსაც კურთხევის შემდეგ მივიღებთ როგორც წმიდა ზიარებას, არიან ღვთის მშობლის ხორციო. როგორც წმიდა ზიარებაში მოიპოვება იესო ქრისტე, ისე ამ ნაწილებში-ღვთის-მშობელიო. რადგან ღვთის-მშობელი დედაა იესო ქრისტესი, ამიტომ საჭიროა, რომ წირვის დროს როგორც ქრისტე, ისე მისი დედაც მოიპოვებოდეს წირვაშიო. მარტო ყოფნა ქრისტესი არ შეიძლებაო და წირვაც სრული არ იქმნებაო.» ბევრი ამისთანა უბრალო ჩვეულებანი მოიპოვებიან აქაურ ხალხში და კაცი არა ჰყავთ, რომ ასეთ ჩვეულებათა ნამდვილი მნიშვნელობა განუმარტოს ხალხს.

ქართველი.

შორაპნის მაზრიდამ.

სოფლის ხალხს რომ ყველგან უექიმობით საქმე აქვს გაჭირვებული, ამას, ვგონებ, დიდი დამტკიცება არ სჭირდება. ჩვენს ერთ სოფელში, დილიკაურში მოვიდა ერთი ვიღაცა სპარსეთელი სომეხი, რომელიც დიდ ექიმობას იჩემებს და აძლევს წამალს ავათ-მყოფებს. ეს ექიმი ყოველ ნაირი ავათ-მყოფის მორჩენას კისრულობს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ყველას ატყუებს და არც ერთი არ მოურჩენია ჯერ-ჯერობით. ავათ-მყოფების ექიმობას გარდა ის იჩემებს ბებიობასაც.

ერთ გლეხს ქ—ს დაუწვა ლოგინათ ცოლი. დედა-კაცი სულ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იყო. სოფლის ბებიებმა ვერაფერი უშველეს მელოგინეს, რადგან ბავშვი არ იბადებოდა რიგიანად. დაუძახეს ამ მატყუარა ექიმს. ამანაც ძლიერ გამოიჩინა თავი ამ შემთხვევაში. წაავლო ბავშვს ფეხში ხელი და ისე მაგრად დაჰკრა ხელი, რომ ბავშვს თავი მოსწყდა და მარტო ტანი შერჩა ხელში. პირველად ბავშვი უთაო ეგონათ; მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ თავი მოწყვეტილი ჰქონდა ბავშვს და დარჩენილი თავის ადგილას. დაიბარეს ქუთაისიდამ ექიმი და ძლივს გადაარჩინეს საწყალი მშობიარე დედა-კაცი სიკვდილს. ამ გამოჩენილს «აკუშორზე» საქმე დაწყობილია და ვნახოთ, რით გათავდება!..

შორაპნელი.

საისტორიო მასალა.

ვარძიის მონასტერი.

1156—1212 წ.

(გაგრძელება *).

ეკკლესიის მარცხენა კედელზე გამოხატულია: (კამარედში) ღვთის მშობელი მჯდომარე, ხელში უპყრია ძე ღვთისა, მარჯვენის ხელით უჩვენებს ძესა თვისსა მის წინაშე სამეფო გვირგვინით მდგომარე საქართველოის უდიდებულესს მეფეთა: გიორგი III ხელ-აღპყრობით და ასულსა მისა თამარს ხელში უჭირავს ვარძიის პლანი. მთა ჲ ზარში გამოკვეთილნი ტაძარი ჲ სენაკები. მეფეთა ზემოთ მფარველი ანგელოზია,—ქრისტე ღმერთიც აკურთხებს მათ ჯვარის დასახვით. ამათი გვერდით არის მეფეთა ქალის ჲ კაცის სურათები, უნდა იყოს რუსუდან ჲ ლაშა გიორგი.

ამავე მხრით, მეფეთა სურათებისკენ კედლის, განყოფილებაში არის ერთი პატარა ძველი ეკკლესია, შიგნითი სიგრძე აქვს ერთი საყენი, განით არის ორი ქართული ადლი. ამაში, ტრაპეზის წინ ამოკვეთილია ორი სასაფლაო ერთი ერთმანეთის გვერდით ჲ მიწით არიან ამოვსებული.

ჯავახეთის მოხუცნი მათი წინა-პარების გადმოცემით მოგვითხრობენ, რომ ამ პატარა ეკკლესიაში უნდა იყვნენ დასაფლავებულნი: გიორგი ჲ ასული მისი თამარ-მეფე. (დღესაც არავინ იცის ნამდვილად, თუ სად არიან ისინი დასაფლავებულნი). ჯავახეთელების მოთხრობას ზოგიერთი საფუძველი აქვს: ა) გიორგის განსაკუთრებით უგრადღება ჰქონდა მიქცეული თავის სადგომის ვარძიის

*) იხილე «მწყემსი», № 6.

გამშვენიერებაზე; ბ) ეს პატარა ეკლესია, შიგნით ეკლესიაშიც მეფეთა სურათებისკენ, ამტკიცებს, რომ ორი ვინმე დიდი პირი უნდა იყოს აქ დასაფლავებული; გ) გიორგის ეს ადგილი უფვარდა, მისი სამეფოშიც აქ იყო, ან უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ გარდაცვალებისა, აქ დასაფლავებდენ მას. ესეც უეჭველსთვის ცხადია, რომ მამის საფეარელს ადგილს ან საფლავს შვილი არ ჭკარგავს ხოლმე. ძველს დროში ამ ჩვეულებას უფრო პატივს სცემდენ და შვილი მამის აკლდამაში იმარხებოდა.

ამ საფლავო ეკლესიის გარეთ, მარცხენა კედელში არის ერთი საფლავი მიწით ამოვსებული. უნდ ეს საფლავი იყოს მეფე კონსტანტინე II ძმა გიორგი VII ან ძე ბაგრატი V-ს. 1414 წ. იხილე «ვახუშტი» 339 გვერდი, სადაც ამ მეფის დასაფლავებას ვარძიაში მოიხსენებს.

დიდ ეკლესიას აქვს მარცხნით ორი კამარა: ერთი სამეფოდოსთვის, მეორე კანკელის პირ-და-პირ, ზემოთ ნახსენები საფლავო, ეკლესიისთვის ან სხვა ამ მხრის გამოკვეთილთათვის საფლავოდ. აქ ერთი ფარული გზა, შიგნიდამ საძოლ საყენზე ამოჭრილი, კიბით მიდის ზევით საფეკაში. მეორე, ჩრდილოეთ დასავლეთით, ეკლესიის გარეშემო ან მესამე პირ-და-პირ ზევიდამ, თოა გამოჭრილია ჭარისთვის ან მეო არც წაშლილა ამდენი ხნის ძველი მხატვრობა. კანკელი ახალია, ან სრულიად შეუფერებელია ვარძიის დიდებული ძველ ხელოვნებასთან.

პირველ-ნახსენებ ბჭის მარცხნით არის შესასვალი კარი ან ფარული გზა, მოაში გამოკვეთილი, ოც-ან თორმეტ (32) საყენზე, აქეთ-იქეთ გამოქვაბულებით მიდის იმ წყაროზე, რომელიც სდგას ტბის მსგავსად, იმრგვალივ იქნება სამი საყენი ან წყალს იტევს 200 ვედრამდე. წყალი ამ წყაროისა არის კარგი გემოსი ან სრულიად უწყინარი. ამ წყალს მოტანენ: «ანარია მოტიქულის ნაკურთხს», ქართველები: «აიაზმას». სომხები: «მირონს», თათრები: «ზიარათის». ყველა სარწმუნოების ხალხს ეს წყალი მიაქვსთ სასოებით. ფუფუთაობაში იკარგება, ოცვით აიაზმის კურთხევით იმატებს ხოლმე. მრავალი ლამთლოთ 'მიგ ჩაიჭრება.

ეკლესიის გარეშემო, ე. ი. აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ გრძლად მდებარეა მთა, შვიდ სართულებად დაყოფილი, აქ შვიდასი სენაკია გამოკვეთილი, ერთის მეორის უბნიდამ და სენაკებიდამ შიგნით გაკეთებულია ერთი მეორეზედ ასავალი ან მიმოსავალი ამოჭრილი კიბეებით ფარული გზები.

ოთველი სენაკის გამოკვეთილი (გარდა პალატთა) თითო ორს-სამს გარესკის გამოკვეთილს. უდრის. სენაკებში ზავთხულ გრილა. ზამთარ თბილა. მეშვიდე სართულშია მარანი,—ქვევრები დღესაც მრთელებია, საწნახლები კი უწინდელ საკენახე სხვა-და-სხვა ადგილებში კლდისკენ ამოკვეთილნი ჩამოტეხილან.

ის არის უფრო შესანიშნავი, რომ სამი ვერსტის სიგრძეზე გამოუკვეთნიათ კლდე, როგორც ფარული გზა, ამ გზაზე გაუკეთებიათ მილები; რომლითაც მომდინარეობდა ხოლმე წყარო. (სათავეში ეს მილები დღესაც არის, მაგრამ იქვე ხეში იკარგება). მილი მიდის დასავლეთ აღმოსავლეთისკენ და შუა ადგილს ჩაუვლის დიდს გამოკვეთილს, ესრედ წოდებულ «თამარ მეფის დივანხანას» მერმე გაივლის იმ დროის საბალე ან საკენახე ადგილებს და ჩაერთვის მდინარე არტაანს.

«დივანხანას» აქვს სიგრძე 7 საჟენი, განი სამ ნახევარი საჟენი. სიმაღლე საჟენი ან ერთი ქართული ადლი.

კედლებში გამოკვეთილია სამი კამარა საკარძელის დასადგამი, თამერ მეფის. ბჭე მდივანი მოსე ხონელის ბადულ-მესხია შავთელის (სამეფო მდივანი იყო). ჩახრუხაძისა, ანუ უკვდავი შოთა პოეტ რუსთაველისა.

ამ «დივანხანის» კარის მარჯვნით გამოკვეთილია ერთი პატარა ეკლესია. ჩრდილოეთისკენ, კედელში გამოკვეთილია სენაკი. აქვს ეკლესიაში გამოსახულია ფანჯრის სახით. მეფე თამარი წირვა ლოცვას ისმენდა ამ სენაკიდამ, სამკვარეულს დროსაც თავად ეურს ადგენდა, ასრე. რომ სახეს არ აჩვენებდა ხოლმე. როგორც ამას თავიანთ წინაპარნი გადმოცემით მოგვითხრობენ.

ვარძიაში არის თორმეტი სხვა-და-სხვა ეკლესიების ნანგრევნი. ერთ ამათგანში, დასავლეთისკენ გამოკვეთილია მშვენიერი ძველი მხატვრობა. სწორეთ მნახველს სიცხოველე მისი მოიუკანს სასოებაში ან თან ცრემლს მოგვრის, რადგან შიგნით ან გარეთ მხატვრობათათვის თავლები თითრებს ხანკალის წვერით ამოუჩიჩქნიათ.

ამ ეკლესიის შესავალ კარის კამარაში დარჩენილა უწინდელი მშვენიერი სუტური ასო მთავრულით ეს წარწერა:» ესე არს ბჭე უფლისა ან მართალნი შეკედენ მასშინა»... შემდეგი წარწერანი ჩამოტეხილია.

ეკლესიის შიგნით, მარცხენა კედელში დახატულ კამარაში ამოკვეთილია ერთი საფლავო ან მიწით ამოვსებული; აქ უნდა იყოს იოანე ამილახვარი, რომელსაც აქაურ ერთ დიდ ქვაზე წარწერა აცხადებს: «ყოველად წმიდაო ვარძიის ღვთის-მშობელო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებასა დიდისა პატრონისა, მსახურებელი შენი პატრონი იოანე ამილახვარი, საფუფუველსა საუკუნესა დაამ-

კვიდრე». ქვა ეს 1857 წელში უპოვნიათ ვარძიის მთის ნანგრევთა შორის, ქვემო მდინარის პირად, და როდესაც ეს მონასტერი შეაკეთეს ერთი ბერძნის თაოსნობით, მაშინ ამოუტანიათ და გაუკეთებიათ. ე. ი. ჩაუშენებიათ იმ შესავალ კარის თავზე, რომელიც ჩვენ ზევით ვახსენეთ. ვინც ამისი ისტორია არ იცის, ამ ქვის მეოხებით ვარძიის აღმაშენებელი ეგონება ხსენებული ამილახვარი, როგორც ეს მოუვიდა კიდეცა ერთ «ვინმე მესხს». მლოცავნი აქაც სანთელს ანთებენ ხოლმე.

«ძმობის» კომიტ. თავს-მჯდომარე სემნარიის რექტორი დეკანოზი, პავლე ჩუდეცკი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი გამოცემა ფრანგულს ენაზე. ეს გამოცემა ეკუთვნის ფრანცუზს ბ. რაფაელ ბერნულის და დაბეჭდილია პარიჟში 1875 წ. წიგნს ეწოდება სახელად «სვანეთი» და შეიცავს 400 გვერდამდე. დაბეჭდილია მშვენიერად. წიგნში აღწერილია სვანეთის ხალხის ახალი დროის ცხოვრება, მათი ზნეობითი მხარეები, ეკონომიური და გეოგრაფიული მდგომარეობა სვანეთისა. აღწერილია აგრეთვე სარწმუნოება სვანებისა. წიგნში მრავალ ადგილს არის მოხსენებული ბ. დიმიტრი ბაქრაძის ნაწერები სვანეთის შესახებ, რომლებსაც, ნაწერებს, წიგნის ავტორი დიდის პატივის ცემით იხსენიებს. გარდა ბატონი დ. ბაქრაძის ნაწერებისა, წიგნის შემადგენელს უსარგებლია ბ. რადდეს ნაწერებითაც სვანეთის შესახებ. წიგნში დაბეჭდილია მრავალი სურათები. აქ მშვენიერად არიან დახატულნი სვანეთის ჩაბნელებულნი ხევები, მაღალი მთები კლდეები და მდინარეები. წიგნში აგრეთვე დახატულია სვანეთის ხალხთა ტიპები და ყველა ესენი დიდის ხელოვნებით არიან შესრულებულნი. დახატულნი არიან აგრეთვე ინგურის მთა, დადიანის ციხე და სვანეთის მთავრის ძველი სასახლე. დახატულნი არიან მრავალი ეკლესიები, როგორც გარეგანი შეხედულობით, აგრეთვე შინაგანი მათი მოწყობილებებით. ამ წიგნში დახატულია იესო ქრისტის ჯვარცმა, რომელსაც გარშემო ყვავილები აქვს. არის დახატული მაცხოვარი, რომელსაც ჯვარი უკავია ხელში და მოციქულებს აძლევს. გარდა ამაებისა ამ წიგნში დახატულნი არიან ერთი დიდი ჯვარი და მრავალნი ხატები, რომელთაც მშვენიერი ხუცური ასოებით წარწერებიცა აქვსთ. დახატულია ერთი ქალი, რომელსაც ტანი თევზისა აქვს და თავი კი ქალის და თავზე ადგია გვირგვინი.

ზემოთ მოხსენებულ სურათებს გარდა წიგნში ჩართულია იმერეთის, ოსეთის და კაბარდოს სამძღვრები და ბოლოში ჩართულია რუქა ამ ქვეყნებისა. წიგნში ბევრი ცნობებია მოყვანილი თამარ დედოფალზე. ეს ლექსები თამარზე შეკრებილნი არიან სვანეთში და გადათარგმნილნი ფრანცუზულს ენაზე. ამისთანა ლექსებს ამ წიგნში მთელი ოთხი გვერდი უკავია. ყოველ ტაეპში თამარია მოხსენებული.

იმედი არის, რომ ამ წიგნში დახატულ სურათებს და ცნობებს უფრო ვრცლად გაარჩევენ ისინი, რომელთაც ფრანგული ენა კარგად იციან.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ქ. ტფილისში ვანქის თთვეში დიდის ამბით დაუსაფლავებიათ განსვენებული ადოლფ ბერჟე. ბ. ბერჟე კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების თავს-მჯდომარედ იყო. მას დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის «კავკასიის აქტების» გამოცემაში. ამანვე მიიღო განსაკუთრებითი მონაწილეობა ბატ. დიმიტრი ბაქრაძისაგან შედგენილს საქართველოს ეკლესიების აღწერათა გამოცემაში და მან, ბერჟემ, ვრცელი წინა სიტყვაობა უძღვნა ამ გამოცემას. ეს აღწერა შესანიშნავი გამოცემაა; ბოლოში მას ჩართული აქვს რამდენიმე სურათები და მთლად გამოცემა ღირს შვიდი მანეთი. 1878 წელში განსვენებულმა ბერჟემ დაბეჭდა ვრცელი სტატია «რუსკი სტარინაში» შემდეგი სათაურით: «როგორ შეუერთდა საქართველო რუსეთს». ეს ბერჟეს წერილები იმ დროს რუსულს გაზეთ «ობზორშიაც» გადმობეჭდეს. განსვენებულის დასაფლავებაზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ეკლესიაში ნემცების პასტორმა რუსულს ენაზე წარმოსთქვა სიტყვა. ეს პასტორი კარგათ განათლებული კაცია, მაგრამ ერთი ცუდი ჩვეულება აქვს: მიცვალებულს თავის დღეში ფეხით არ გაჰყვება. ზის ფაეტონში და ისე მისდევს მიცვალებულს,

როდესაც სხვა ხალხი ფეხით მისდევს. ბერძეს დასაფლავებაზედაც ასე მოიქცა. მთელი თბილისის დიდ-კაცობა ფეხით მიჰყვებოდა მიცვალებულს და პასტორი კი ფაეტონით.

***

რა ერთგულნი შემწირველნი არიან ინგლისელები თავიანთ ეკკლესიის სასარგებლოდ, ეს ცხადათ სჩანს მათი შეწირულების რაოდენობიდამ. წარსული ოც-და-ხუთი წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ ღვთის მეტყველების მაღალ სასწავლებლების სასარგებლოდ შემოსულა შეწირულების სახით ხუთას ოც-და-რვა ათას ექვსას ორმოცდა ცამეტი გირვანქა სტერლინგი (სტერლინგი ათი მანეთი არის). ეკკლესიების და საეკკლესიო სახლების შესაკეთებლად შეუწირავსთ ოც და-თუთხმეტი მილიონი, ას სამოცდა-თხუთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგი. სახელმწიფო შინაგან მისიონერების სასარგებლოდ შემოსულა შვიდი მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლ. გარეშე სახელმწიფოის მისიონერების სასარგებლოდ შემოსულა ათი მილიონი ას ასი-ათასი გირვანქა სტერლინგი. საშრეველო სკოლების სასარგებლოდ შეპოსულა ოც-და ერთი მილიონი და ნახევარი გირვანქა სტერლინგი. სხვა და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათა და საქმეთა სასარგებლოდ შემოსულა სამი მილიონი ას რვასს თვრამეტი გირვანქა სტერლინგი. სასულიერო წოდების შესაწევნელად შემოსულა ორი მილიონი ას ას-სამი ათასი გირვანქა სტერლინგი. სულ, ამ სახით, შემოსულა შეწირულება ოც და-ხუთი წლის განმავლობაში ოთხმოცი მილიონი გირვანქა სტერლინგი, ანუ ჩვენებური ფულით რომ ვიანგარიშოთ უმეტესი რვასსი მილიონი მანეთისა, ესე იგი, ოც-და-თორმეტი მილიონი მანეთი ყოველ წლობით!

რამდენად მაღალი ადგილი უჭირავს ინგლისის სამღვდელოებას ხალხში და პატივს სცემს მას ყველა წოდების და მდგომარეობის ხალხი, ეს ცხადათ სჩანს იქიდამ, რომ ამ უკანასკნელ დროს ინგლისის სახელმწიფოის პირველმა მინისტრმა ბლადსტონმა თავის ქალიშვილი მიათხოვა ეკკლესიის ერთ ახალგაზდა წინამძღვარს ბარრი დრიუს.

ბვირგვინის კურთხევაზე დაესწრენ ბევრი საპატიო პირები და მინისტრები.

***

მღვდელი ტაბიძე გვთხოვს, რომ შემდეგი მისი წერილი დავბეჭდოთ «მწყემს»-ში: «წარსულს წელში მეწია უბედურება: ყოველივე შენობა დამეწვა. დავრჩი უნუგეშოთ. ჩემი თხოვნით მისმა ყოველად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა ჰქნა განკარგულება ბლაღოჩინებზე, რომ ყოველ სამღვდელო პირს, შეძლებისა და გვარად, შემწეობა აღმოეჩინა ჩემთვის; მაგრამ მე დღემდის მხოლოდ სამი ბლაღოჩინისაგან მივიღე ამ გვარი შემწეობა, რისთვისაც მათ დიდს მადლობას ვსწირავ. აგრეთვე ვსთხოვ ყველა ჩემ თანამოძმეთა, რომ, თუ რამე აქვსთ ჩემ სასარგებლოთ შეკრებილი, გამომიგზავნონ. ბევრისაგან. გავიგე, რომ ზოგიერთ საბლაღოჩინოებში კიდეც მოუკრებიათ ამ გვარი შეწირულებანი, მაგრამ მე კი დღემდისაც არაფერი მიმიღია მათგან».

სოფლის ჭყვიშის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი სტეფანე ტაბიძე.

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საყურადღებო

ტელეგრამმები.

25 ფებერვალს

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ მოიკრას ვერცხლის ფული 6,000,000 მანეთისა.

სამხედრო ტოპოგრაფიის სასწავლებელისა და «უჩებნოი კამანდის» შაგიერ დაწესებულ იქმნება ერთი სამხედრო ტოპოგრაფიის სასწავლებელი.

ევანგელო-ლუტერანის სამრევლო და საგოლოსტო სკოლები ლიფლიანდიისა, სოფლის სახალხო სკოლები ესტლანდიის და კურლიანდიის გუბერნიებისა, აგრეთვე სოსტატო სემინარიები სამის ზემოხსენებულის გუბერნიისა უნდა ამას იქით ექვემდებარებოდნენ საერო განათლების სამინისტროსა.

სტამბოლი. დიდთა სახელმწიფოთა მომეტებულმა ნაწილმა ბასუსი გაუგზავნა პორტას და მოუწონა ტირკულიარი შესახებ ოსმალ-ბოლგართა მორიგებისა. ამასვე მოელიან დანარჩენ სახელმწიფოთაგან. იმედია, რომ კონფერენცია მომავალს კვირაში შეიყრება.

27 ფებერვალს

ვენა რადგანაც ვენეციის არე მარეში დიდი ხოლერა გაჩენილა, ამიტომ იტალიიდამ ანკონამდე მიმავალ-მომავალთათვის შვიდის დღით კარანტინი დაუყენებიათ.

28 ფებერვალს

პეტერბურგი. «Journal de St-Petersbourg»-ი დაბეჯითებით ამბობს, რომ იმ კვირეს შესდგება სტამბოლში კონფერენციის ელჩებისა, რათა აცნობონ პორტას, რომ დიდნი სახელმწიფონი თანხმანი არიან ოსმალ-ბოლგართა მორიგებისა, რომელიც ისე იქმნა შეცვლილი, როგორც რუსეთმა მოითხოვა. როცა ორგანებური სტატუტი აღმოსავლეთის რუმელიისა გადისინჯება, მაშინ ხელ-ახლად იქნება კონფერენციაო.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს-ძემ ოლდენბურგისამ იკისრა და თავის საფასით გამართა პეტერბურგში ლეიფ-ხირურგის კრუგლევსკის თაოსნობით სამკურნალო ცოფის აცრისათვისო. ამ კრუგლევსკის პარიჟში შეუსწავლია, როგორ არჩენს პასტერი დაცოფიანებულებს. პეტერბურგში ჯერ ძაღლებს აუცრიან ცოფსაო და ამ გზით შეიტყობენ პასტერის მეტოდა მორჩენისა როგორ სცადონ კაცებზედაცაო.

მღვდელთა საყურადღებოდ.

მრავალი წესდებულებანი და სახელმძღვანელო წიგნები გვაქვს მღვდლებს, რომ შეუცდომლად და კანონიერად ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას; მაგრამ ყველა ეს წესდებულებანი და სახელმძღვანელონი კიდევ ახსნას და განმარტებას ითხოვენ, რადგან სამღვდელოებას არა აქვს ყველა ესეები კარგად განმარტებული. ამისათვის ერთ ნაირად არ ასრულებენ ზოგიერთ მღვდელ-მოქმედებას და თავისებურად ხსნიან ზოგიერთ კანონებს და სწავლას. ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოგვყავს მღვდლის იოსებ ჩიტაძის მონაწერი წერილი: «ჩვენ, მღვდლებს, ამბობს მ. ი. ჩიტაძე, გვაქვს სასულიერო კონსისტორიათა ინსტრუკციები და სხვა და-სხვა სახელმძღვანელო სწავლა დარიგებანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას ერთ ნაირად არ გვესმის ესეები და ხშირად ის, რაც ერთ გვარად უნდა სრულდებოდეს ყველა მართლ-მადიდებელ ეკკლესიაში სხვა-და-სხვა ნაირად სრულდება. სამღვდვლოების ერთ შეკრებილებაზე ჩამოვარდა საუბარი ტარიგის დანაწილებაზე ხალხთა საზიარებლად. სამღვდელოებში გამოჩნდნენ მრავალნი პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ შემდეგ სული წმიდის მოწოდებისა ყველა ნაწილები, რომელნიც ტარიგს გარდა ოთხი სეფისკვრისაგან ამოიღებიან, შეიცვლებიან პატიოსან ქრისტეს ხორცად და ამიტომ შეიძლება მათითაც ზიარებაო. გთხოვთ, მ. რედაქტორო, განმარტოთ ეს კითხვა უმახლობელეს «მწყემსის» ნომერში და მით გამოიყვანოთ ზოგიერთი მღვდლები გაჭირვებისაგან.

ჩვენ დავბეჭდეთ წარსული წლის «მწყემსის» მე 6 №-ში მოკლე განმარტება ტარიგის დანაწილების შესახებ. შემდეგ ჩვენ ბევრ მღვდელთან შეგვხდენია საუბარი ამ საგნისავე შესახებ და საჭიროდ ვრაცხთ კიდევ ვსთქვათ ამ კითხვის განმარტების შესახებ ორიოდე სიტყვა. ცხადათ და გარკვევით არის დაწერილი ამის შესახებ დარიგება მღვდლისათვის კონდაკში. იქ სწერია: «და განიყოფის ტარიგი იგი ოთხ ნაწილად და დაიდების ჯვარის სახედ ფეშხუმზე. პირველი ნაწილი, რომელზედაც აწერია ი ე ს ო, შთაისვენების ბარძიმში. მეორე ნაწილი, რომელზედაც აწერია ქ რ ი ს ტ ე, განიყოფის იმდენად, რამდენიც არიან მწირველნი, ესე იგი, მღვდელნი და მთავარ დიაკონნი და ისინი ამით ეზიარებიან. ორი ნაწილი, რომელზედაც აწერია ძ ლ ე ვ ა დაინაწილებიან იმდენად, რამდენიც მღვდელს ეგულება მაზიარებლები და ამ ნაწილებით ეზიარებიან ყველანი. სხვა ნაკვეთი ნაწილები ღვთის-მშობლის, ცხრა სხვა, ცოცხალთა და გარდაცვალებულთა ხალხის ზიარებამდის ფეშხუმზე უნდა დაშთენ და შემდეგ ზიარებისა, ჩასვენდენ ბარძიმში. ამ ნაწილებით ხალხის ზიარება არ შეიძლება,

კალენდარული ცნობები.

ქვეყნის შექმნიდამ არის გასული შვიდი ათას სამას ოთხმოცდა თოთხმეტი წელი.

ქრისტეს აქეთ არის ათას რვაას ოთხმოცდა ექვსი წელიწადი.

ძველი ინდიქტიონი არის მეთოთხმეტე.

ჩუპკ წლის ზედნადები არის ერთი.

მთვარის მოქცევა—სამი

ათცხრამეტური — ათი.

მზის-მოქცევა — ორი.

ხელთა — ორი.

მეორე კვირა დიდი მარხვისა არის ცხრა მარტს. ამ კვირას არის ხმა მეორე, სამციკრო სახარება მეათე.

მესამე კვირა ჯვარის-თაყვანის ცემისა შეხვდება მარტის თექვსმეტს რიცხვს. ამ კვირას არის ხმა მესამე და სამციკრო სახარება მეთექვსმეტე.

ხარება შეხვდება დიდ-მარხვის მეხუთე კვირიაკეში სამშაბათს დღეს.

ზზობა — აპრილის ექვს.

წმიდა აღდგომა — აპრილის ცამეტს.
ამაღლება — მაისის ოც-და-ორს.
სულის წმიდის მოსვლა — ივნისის პირველს.
პეტრეპავლობის წინ დაურწყება — ივნისის რვას.
პეტრეპავლობის მარხვა ორი კვირა ჯ ექვსი დღეა.

შეწირულება.

ბლაღოჩინის მღვდლის გიორგი ბერიძისაგან ჩვენ მივიღეთ ერთი თუმანი თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე «ძმობის» სასარგებლოდ.

ეს ფულები შემოწირეს შემდეგ პირთა:

		მან.	კაპ.
თანაშემწემ	ბალ. მღ. ანტონ რევიამ —	1	
—	ბლ. მღ. ბესარიონ კურუამ —	1	
მღვდელმა	გიორგი შალამბერიძემ	—	50
	მარკოზ შალამბერიძემ	—	50
—	გიორგი სილაგაძემ — —		50
—	ოქროპირ შომახიაშ — —	—	50
—	დავით გაგუამ — —	—	50
—	ისიდორ ასათიანმა — —	—	50
—	ნიკოლოზ ჩიხლაძემ— —	—	50
—	ივანე კუხალაშვილმა —	—	50
—	ვასილი ჩიხლაძემ — —	—	50
—	ეგნატე ხურცელავამ —	—	50
—	გრიგორი ახალაიამ— —	—	50
—	ანტონ ჩიხლაძემ — —	—	50
—	გიორგი გაბისონიამ— —	—	50
—	ანტონ ოდიშარიამ — —	—	50
—	ნიკოლოზ ძიმისტარაშვილმა—	—	50
—	ივანე რურუამ — —	—	50

სრულიად 10 მ.

შეცდომის გასწორება.

«მწყემსი» ს მე 5 № ში შეწირულებათა სიაში შეცდომით იყო დაბეჭდილი: დეკანოზმა იესე სისოარდიამ შესწირა ერთი მანეთი, უნდა იყოს: ორი მანეთი, ბოლოს გამოყვანილია: 17 მ. და 40 კ. უნდა იყოს: 27 მ. და 40 კ.

განცხადება.

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის ქართულ საეკკლესიო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი“-ს რუსულ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საზოგადოებრივ მართებლობათა, ეკლესიასტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა გამო; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო დასაეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი «მწყემსი» გამოვა თვეში სამჯერ, თორმეტი გვერდი და ხან-დისხან თექვსმეტიც.

რუსული დამატება „მწყემსი“-საც ეს პროგრამით და მიმართულებით გამოვა თვეში ორჯერ, ორ ფურცლამდე თითო ნომერი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით— ექვსი მან.
ნახევარი წლით—ოთხი მან.
ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.
ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

შენიშვნა:

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

შინაარსი: ძნელი დრო დაგვიდგა და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად.—თბილისიდამ.—სენაკის მაზრიდამ.—ადრიანაპოლიდამ. — შორაპნიდამ. ვარძიის მონასტერი.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ტელეგრამები. მღვდელთა საყურადღებოდ კალენდარული ცნობები.—შეწირულებანი.—განცხადება.

Дозв. цензурою Кутаисъ, 3 Марта 1886 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ლაშბაშიძე.

მსწრაფელბეჭდავი ზედგინიძისა ჯ ფერაძისა.